

„დამტკიცებულია“

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/02. 28.01.2019

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი

სპირიდონი

„განხილულია“

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

ოქმი № 02-02-06/01. 25.01.2019 წ

საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

საჯარო მმართველობა

აკადემიური ხარისხი: საჯარო მმართველობის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი:

პროფესორი : ბესიკ ბერიძე

ხიჭაური 2019

პროგრამის სახელწოდება

საჯარო მმართველობა
Public Administration
ფაკულტეტი
სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის
პროგრამის ხელმძღვანელი
პროფესორი ბესიკ ბერიძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საჯარო მმართველობის მაგისტრი (Master of Public Administration) მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში
--

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

120 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი:

სამაგისტრო პროგრამის მიზანია, შრომის ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად მოამზადოს მარალკვალიფიციური კადრები, რომლებსაც საშუალება ექნებათ დასაქმდნენ საჯარო სამსახურში, ასევე მმართველობითი სფეროს სხვა რგოლებში. პროგრამა ორიენტირებულია ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს სტუდენტებს საჯარო მართვის მეთოდოლოგია, მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევები მმართველობით სფეროში. საშუალება მისცეს მათ მეცნიერ-პედაგოგთა და პრაქტიკოსთა დახმარებითა და კონსულტაციებით ძირფესვიანად გაეცნონ და აითვისონ სხვადასხვა მმართველობითი დონეებისათვის დამახასიათებელი სისტემები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით გაივლის საერთო სამაგისტრო გამოცდებს და ჩაირიცხება ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წინაპირობების (გამოცდა/გამოცდები/გასაუბრება) საფუძველზე. საკითხები/ტესტები განთავსდება ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
--

პროგრამის სწავლის შედეგები.

ცოდნა და გაცნობიერება - ფლობს საჯარო სამსახურის სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას. შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება ახალი, ორიგინალური იდეებისა და წინადადებების გენერირებისათვის, კარგად აქვს გაცნობიერებული სფეროს პრობლემები და გამოწვევები, მათი გადაჭრის ოპტიმალური გზები.

მიღებული აქვს საჯარო მმართველობის სფეროს სისტემური და ღრმა ცოდნა; სისტემის არსში წვდომა, მოქმედების სრულყოფის მეთოდების ცოდნა და გამოყენება; ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარი. ახალი ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგიის ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - მიუჩვეველ და არაორდინალურ გარემოში სწორი ორიენტირება. მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება. სისტემის მახასიათებლების

ანალიზი დამოუკიდებელი კვლევის საშუალებით.

დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის, შესაბამისი დროითი ჩარჩოების დადგენისა და სამუშაოთა შესრულების გრაფიკების შედგენის უნარი; სტრატეგიული და მიმდინარე დაგეგმვის პრინციპების ცოდნა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. საჯარო მმართველობის სფეროში არსებულ კვლევითი და მეცნიერული მიღწევების ცოდნა და მისი ანალიზის უნარი; თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი. არაორდინალურ გარემოში ოპერატიულად მოქმედების უნარ-ჩვევები; ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტისათვის, კანონშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობისათვის მზადყოფნა.

დასკვნის უნარი - სისტემაში მიმდინარე მოვლენების, პროცესების ანალიზი და სათანადო დასკვნების შემუშავება, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და ანალიზი.

საჭირო გადაწყვეტილებების შემუშავება და ექსპერტიზა; პრაქტიკაში ინოვაციური მენეჯმენტის პრინციპების გამოყენება; გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებათა შეტანა და/ან კორექტირება. რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

კომუნიკაციის უნარი - კოლეგებთან, საზოგადოებასთან, პროფესიონალებთან და დაინტერესებულ პირებთან მოსაზრებების თავისუფალი გაზიარება, არგუმენტირებულად და მიზანმიმართულად. კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა ფართოდ გამოყენებით.

საქმიანი დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული

წესების დაცვით წერა. დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი; ნებისმიერ სივრცეში (ორგანიზაციის შიგნით და გარეთ, სამეცნიერო წრეებსა და ფართო საზოგადოებაში) კომუნიკაციის უნარი; პერსონალის მართვის ტექნოლოგიისა და საქმიანი უნარ-ჩვევების ფლობა; საჯარო გამოსვლების უნარი;

სწავლის უნარი - დამოუკიდებელი სწავლა, დაოსტატება, მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპების განხორციელება. საკუთარი დღის წესრიგის უნარიანი დაგეგმვა.

თავად აირჩიოს სწავლის გაგრძელების შემდგომი ადგილი და მიმართულება; ცნობიერებაში

ჩამოიყალიბოს ცოდნის ადექვატურად მიღების პრინციპები და მეთოდები; ცხოვრების სტილად აქციოს „მუდმივი სწავლის“ პრინციპები; სწავლა განაგრძოს უფრო მაღალი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ღირებულებები - ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ჩვენ საზოგადოებისათვის ახალი, დემოკრატიული თანაცხოვრებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

პატრიოტიზმი; საქართველოს კონსტიტუციისადმი ერთგულება და მისი განუხრელი დაცვა; ერთგულება დემოკრატიული პრინციპებისადმი; საქართველოს ერთიანობისა და პროგრესისათვის მუდმივი ზრუნვა; უკომპრომისობა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის საქმეში; ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების პატივისცემა; კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის მიღწევისათვის მუდმივი შრომა; პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა;

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული

პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი დამოუკიდებელი მუშაობა სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. გთავაზობთ სწავლებისა და სწავლის ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს და მათ განმარტებებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

1. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

6. შემთხვევების შესწავლა (Case study) – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად,

უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ბუნებრივი, სტიქიური უბედურების ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

7. გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;

დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;

- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. როლური და სიტუაციური თამაშები – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

9. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

10. ინდუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

11. დედუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

12. ანალიზის მეთოდი – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

13. სინთეზის მეთოდი – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

14. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

15. წერიტი მუშაობის მეთოდი – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

16. ლაბორატორიული მეთოდი – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

17. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავიდეო მუშაობა და სხვ.

18. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

19. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

20. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

21. ელექტრონული სწავლება (E-learning) – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიაური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პედაგოგისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;
- დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს;

ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური) - სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

სტუდენტის შეფასება

1. სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობის, სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობის, რეფერატების, პრეზენტაციების, კვლევითი კომპონენტის, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვა შედეგების საფუძველზე.
2. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებულ მოთხოვნების შესრულებას, რაც იყოფა ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.
 1. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები შედგება შეფასების კომპონენტებისაგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირი ან/და წერიითი სახის გამოკითხვებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოებს და ა.შ. არ შეიძლება სტუდენტის შეფასება, მხოლოდ ერთი შეფასების კომპონენტის გამოყენებით.
 5. შუალედური შეფასება მოიცავს:
 - ა) შუალედურ გამოცდას – 20 ქულა. შუალედური გამოცდის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსის მოთხოვნების გათვალისწინებით, რასაც, „ტბელის უნივერსიტეტი“-ს ხარისხის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს კონკრეტული საგნის მასწავლებელი, რაც აისახება ამავე სასწავლო კურსის შეფასების აღწერაში;
 - ბ) მიმდინარე შეფასებებს – 40 ქულა. მიმდინარე შეფასებები შეიძლება განხორციელდეს წერიითი (წერიითი დავალება, ტესტი, სიტუაციური ამოცანა, პრაქტიკული/თეორიული დავალება და სხვა) და ზეპირი (ზეპირი მოსმენა, სემინარი, პრეზენტაცია, დისკუსია, დებატები, ზეპირი მოსმენის სხვა აქტივობა) გამოკითხვების ფორმით, გარდა წერიითი და ზეპირი შეფასებისა, შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების სხვა მეთოდი.
2. შეფასების ცალკეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება ცალკეული სასწავლო კურსის – საგნის სილაბუსით, სადაც დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:

ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერითი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;

ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით.

3. შუალედური გამოცდა უნდა ჩატარდეს წერითი ფორმით, ხოლო დასკვნითი გამოცდა შეიძლება ჩატარდეს კომბინირებული, წერითი ან ზეპირი ფორმით. კომბინირებულ გამოცდაში თანაბრად (50/50-ზე) დაცული უნდა იყოს წერითი და ზეპირი ნაწილების ხვედრითი წილი.
4. თუ შეფასებას რამდენიმე გამომცდელი ახდენს, საბოლოო შედეგი მათი შეფასებების საშუალო არითმეტიკულია.
5. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულაა.
6. სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.
7. სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით:

დადებითი შეფასებები:

- ა) A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 9 - 100 ქულა;
- ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71- 80 ქულა;
- დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;
- ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

- ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ზ) F-0 - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.

8. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
9. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
10. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0–50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
11. სტუდენტის გამოცდაზე შეუფასებლობის საფუძვლებია:
 - ა) დანიშნულ გამოცდაზე არასაკმარისი მიზეზით გამოუცხადებლობა ან გამოცხადება და გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება;
 - ბ) გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან ჩანაწერების (ე.წ. „შპარგალკა“) გამოყენება;
 - გ) გამოცდაზე შეფასების ამ კომპონენტისათვის დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება. დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება ან გამოცდაზე უარის თქმა, შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით, დეკანის თანხმობის შემთხვევაში.

მაგისტრატურის დამამთავრებელ, მეოთხე სემესტრში, სტუდენტს უფლება აქვს კვლევით კომპონენტთან – სამაგისტრო ნაშრომთან ერთად დაარეგისტრირდეს „F-0“ (ჩაიჭრა) შეფასების მქონე საგანი, თუ ერთ სასწავლო წელში ასათვისებული კრედიტების ჯამი არ აღემატება 75 კრედიტს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ერთ სასწავლო წელში ასათვისებული კრედიტების ჯამი აღემატება 75 კრედიტს, მაშინ სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს სამაგისტრო ნაშრომის აპრობაცია, მაგრამ ნაშრომის დაცვის შესაძლებლობა მიეცემა, მხოლოდ მას შემდეგ რაც დაფარავს ყველა სასწავლო კომპონენტში არსებული აკადემიურ დავალიანებებს.

დასაქმების სფერო

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნით კურსდამთავრებულებს შეეძლება

წარმატებული მუშაობა და კარიერული ზრდა;

- სახელისუფლო სტრუქტურებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში;
- ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის დაწესებულებებში;
- საკუთრების ნებისმიერი ფორმის ორგანიზაციაში მმართველობით თანამდებობებზე;
- საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვა.
- კვლევის წარმოება მართვისა და მენეჯმენტის სფეროში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ სილაბუსებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 16

ადამიანური რესურსი

გვარი სახელი	აკადემიური თანამდებობა	ხარისხი
ბერიძე ბესიკ	პროფესორი	სოციალური მეცნ. აკად. დოქტორი
მოსწრაფეშვილი თენგიზ	პროფესორი	სოციალური მეცნ. აკად. დოქტორი
მიქელაძე ედუარდ	პროფესორი	ეკონომიკის მეცნ. აკად. დოქტორი
ბერიძე ნათელა	პროფესორი	სოციალური მეცნ. აკად. დოქტორი
ავთანდილ დიასამიძე	პროფესორი	დოქტორი
მამუჭაძე ნესტან	ასოცირებული პროფესორი	სოციალური მეცნ. აკად. დოქტორი
ალექსაია სულხან	ასოცირებული პროფესორი	ისტორიის მეცნ. აკად. დოქტორი
ჯახაია ლელა	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
მურადიშვილი ხათუნა	მოწვეული მასწავლებელი	დოქტორი
ჩურკვიძე თამილა	მოწვეული მასწავლებელი	დოქტორანტი
ხინთიბიძე თეა	მოწვეული მასწავლებელი	მაგისტრი

სასწავლო გეგმა

N	სახელწოდება	კრედიტი	საათები						კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				
			სულ	ლექცია	ჯგ / მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	I	II	III	IV	
სპეციალობის სავალდებულო კურსები		70											
1.	სოციოლოგიური კვლევის მეთოდები	5	125	15	27	1	2	80	5				
2.	საჯარო პოლიტიკა და მართვა	5	125	15	28	2	2	78	5				
3.	მოლაპარაკებების ხელოვნება	5	125	15	27	1	2	80		5			
4.	საზოგადოებასთან ურთიერთობა და პოლიტიკა	5	125	15	27	1	2	80	5				
5.	სტრატეგიული დაგეგმვა	5	125	15	27	1	2	80	5				
6.	ინგლისური ენა (დარგობრივი)	5	125		42	1	2	80	5				
7.	სახელმწიფოს მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა	5	125	13	14	1	2	95	5				
8.	ეთიკა, ადმინისტრაციული კორუფცია და სახელმწიფო მართვა	5	125	13	14	1	2	95		5			
9.	საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგია	5	125	15	27	1	2	80		5			
10	სახელმწიფო, პოლიტიკა და მასმედია	5	125	15	28	2	2	78		5			
11	საგანგებო სიტუაციების მართვა	5	125	13	14	1	2	95			5		
12	სოციალური კონფლიქტების მართვა	5	125	14	13	1	2	95		5			
13	მომსახურების მენეჯმენტი	5	125	15	27	1	2	80			5		
14	სტრატეგიული მართვა	5	125	13	15	2	2	93		5			
15	არჩვითი სასწავლო კურსები	5	125								5		
ა	პოლიტური კონფლიქტების მართვა და საერთაშორისო უსაფრთხოება	5	125	15	12	2	1	95					
ბ	ევროინტეგრაცია - პრობლემები და პერსპექტივები	5	125	15	12	1	2	95					
კვლევითი კომპონენტი		45											
	სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი/	5	125								5		
	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/პრაქტიკა	10	250								10		
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	30	500										30
სულ		120							30	30	30	30	

სწავლების შედეგების რუკა

N	საგანი	ზოგადი და დარგობრივი კომპეტენტურობები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	სოციოლოგიური კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
2	საჯარო პოლიტიკა და მართვა	X	X	X			
3	მოლაპარაკებების ხელოვნება	X	X		X		X
4	საზოგადოებრივი ურთიერთობები და პოლიტიკა	X	X			X	X
5	სტრატეგიული დაგეგვა	X	X	X			
6	ინგლისური ენა (დარგობრივი)B-2 დონე	X	X	X	X	X	
7	სახელმწიფოს მართვა და ადგილობრივი თვითმართველობა	X	X	X	X		
8	ეთიკა, ადმინისტრაციული კორუფცია და სახელმწიფო მართვა	X	X	X			
9	საჯარო გამოსვლის თანამედროვე ტექნოლოგიები	X	X		X		X
10	სახელმწიფო, პოლიტიკა და მასმედია	X	X	X			
11	საგანგებო სიტუაციების მართვა	X	X	X	X		
12	სოციალური კონფლიქტების მართვა	X	X		X		
13	მომსახურების მენეჯმენტი	X	X		X		
14	სტრატეგიული მართვა	X	X	X			
15.1	ევროინტეგრაცია-პრობლემები და პერსპექტივები	X	X		X		X
15.2	პოლიტური კონფლიქტების მართვა და საერთაშორისო უსაფრთხოება	X		X	X		
16	კვლევითი კომპონენტი	X	X	X	X		